ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523262001
თარიღი:19/09/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 10

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 15.09.2023 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: შოთა გიორგაძე, გრიგოლ მატარაძე, გელა ვარდოსანიძე, ბიჭიკო პაიკიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, თამარ შენგელია, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის დაწყებამდე დეპუტატებმა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცეს გურიაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3., ,ვანის მუნიციპალიტეტის გორას ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ილია გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭვალაძე

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საპრასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილისთვის თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭვალაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი .,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. კერძოდ, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20,0 ათასი ლარით, რომელიც მიიმართება ვანელობის სახალხო დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებულ ღონისძიების ორგანიზებაზე.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 19048,5 ათასი ლარით, გადასახდელები 20320,1 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ლარის რედაქციით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

დადგენილება N 21

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 სექტემბრის N65-65232499 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდასორმოცდაოთხი)ლარი, რაც ჯამში შეადგენს 7440 (შვიდიათასოთხასორმოცი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების

ანაზღაურების შესახებ“.

განკარგულება: N გ-65. 6523258001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხთან დაკავშირებით მომხესენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის გორას ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ილია გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი განხილულია კომისიების მიერ და მზადაა რომ მოხდეს სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ილია გაბუნიას სახელის მინიჭება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის გორას ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ილია გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ“

განკარგულება N გ-65.65232582

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით მომხესენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საპრასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილისთვის თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“.

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი განხილულია კომისიების მიერ და მზადაა რომ მოხდეს სოფელ საპასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილისთვის თავისი ჩიხებით საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისთვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საპრასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილისთვის თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“.

განკარგულება N8-65.65232583

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი